MES 8 23 0001024065

22/08/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08. 08. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:15 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:54 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ეფექტური ორგანიზებისა და შეფასების პროცესში ჩართული მხარეებისათვის მოქნილი სამუშაო პირობების შეთავაზების მიზნით, სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი **- საბჭოს თავმჯდომარე ;**
2. **ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი **- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **რატი რატიანი-** შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი;**
4. **ნინო ბაქრაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინე ებრალიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ქეთევან ზურაშვილი -** სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
7. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
8. **მარინე მაისურაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
9. **ერმილე მესხია -** სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ლევან ნიკოლეიშვილი -** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;

11. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
12. **მარინა ქავთარაძე - სსიპ** - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **ქეთევან ქუთათელაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **ნინო ღაღანიძე -** სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. **ლაშა ჩხარტიშვილი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. **თინათინ ჭაბუკიანი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
17. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
18. **გურანდა ჭელიძე -** შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
19. **მამუკა ხუსკივაძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულებისდ ასახელება	სტატუსი	საკითხი
1	არჩილ ჯანგირაშვილი	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I**
2	მაია ამაშუკელი		ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	
3	ქეთი ცხადაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	
4	რევაზ პაპუკაშვილი		პროგრამის თანახელმძღვანელი	
5	ნათია გოლიაძე		ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი	
6	ნათია სურმანიძე		ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	
7	დავით მახვილაძე	**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**II-IV**
8	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	
9	თამარ ლომინაძე		სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	
10	ოთარ გელაშვილი		სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი	
11	თინათინ კაიშაური		სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, „ინფორმატიკის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	
12	ნათია ბუთხუზი		სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
13	ლილი პეტრიაშვილი		„ინფორმატიკის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
14	გია სურგულაძე		„ინფორმატიკის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
15	ნუგზარ ამილახვარი			

			„ინფორმატიკის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
16	რამილ ზუკაკიშვილი		„საავიაციო ინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
17	გივი სანაძე		ასოცირებული პროფესორი	
18	თეა კორძაძე	**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**V-VII**
19	ციცინო თურქაძე		საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "გარემოს დაცვის ტექნოლოგიების" ხელმძღვანელი;	
20	ნანა შონია		ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;	
21	აზა იფშირაძე		,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
22	მირანდა მნაცაკანიანი		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
23	მანუჩარ ჩიქოვანი-კიკალიშვილი		"ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული სა შუალებით მონაწილეობის შესა ხებ**	**საკითხი**
1	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
2	ქეთევან ქავთარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	
3	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	
4	ეკა ავსაჯანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	
5	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
6	გიორგი მელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	
7	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	
8	ვაჟა კელიხაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	
9	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	**III-IV**
10	მარინე ხიზანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	
11	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	
12	გიორგი ფარეშიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	
13	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**V**

14	ბელა ჯაფოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**VI**
15	მამუკა მაისურაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**VII**
16	სოფიკო ფაცაცია	(ჩაერთო „ზუმით“)	

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:15 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ,,ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ,,ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გარემოს დაცვის ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის (60 დღიანი) შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ,,ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ,,ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გარემოს დაცვის ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის (60 დღიანი) შედეგების განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნეს ანალიტიკა Business Analytics
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413 Management and Administration
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის IV კორპუსი, 0171, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, პანტელის იპსილანდისი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ბიზნესისა და ადმინისტრირების სკოლის ფარგლებში. მისი თქმით, დაწესებულებას მსგავსი პროგრამა ქართულენოვანიც აქვს. "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება ძლიერი ცოდნა და გამოცდილება ბიზნესისა და მენეჯმენტის მიმართულებით. ასევე, აღჭურვილი იქნება თანამედროვე ანალიტიკური უნარებით, რომლითაც შეძლებს საკუთარი კარიერის დაგეგმვას როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო კომპანიებში. პროგრამა დაფუძნებულია ბაზრის კვლევაზე, რომლის შექმნაშიც ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები. უნივერსიტეტის მიერ გაანალიზებულია სამუშაო ძალებზე დადებული აპლიკაციები და შემოთავაზებები. გარდა ამისა, დაწესებულების მიერ მომზადდა „Benchmarking“ დოკუმენტი, მსგავსი უცხოური პროგრამების დადარების მიზნით. მან აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარებისათვის, აუცილებელია ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო პარტნიორები და აქტორები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არის კარგად დაგეგმილი, სასურველია, რომ პროგრამაში გაძლიერდეს კვალიფიკაციის მიმართულებით მენეჯმენტის ნაწილი, რომელიც უნდა დაუკავშირდეს ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაციას. გარდა ამისა, მარკეტინგის, ადამიანური რესურსებისა და რისკების მენეჯმენტის საგნები, რომლებიც უკავშირდება მიღებული ცოდნის გამოყენების სფეროს, მათი პროგრამაში დამატება პროგრამას უფრო განავითარებს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე, თუმცა მათ ამ კვალიფიკაციას განსაზღვრავს მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება კონკრეტულ ორგანიზაციებთან. „ბიზნეს ანალიტიკის“, „რაოდენობრივი მეთოდების“, „ინფორმატიკისა“ და სხვა მსგავსი საგნების შესწავლისას თეორეტიკოსმა ლექტორებმა და სტუდენტებმა, ნათლად უნდა დაინახონ ეს მომიჯნავე სფეროები და მათი მიღებული ცოდნა რამდენად უკავშირდება ბიზნეს პრობლემების გადაჭრას ბიზნესის სამყაროში. საერთაშორისო ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მიღწევის

შეფასების მექანიზმი დახვეწას და განვითარებას საჭიროებს, კერძოდ, დასანერგია შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი) მეთოდები, გასაწერია კონკრეტული სამიზნე მაჩვენებლები და ამ სამიზნე მაჩვენებლებიდან გადახრის დასაშვები ზღვრები. ასევე, კარგი იქნება თუ დაწესებულება პროგრამის გარე შეფასების მიზნით დამოუკიდებელი პირის მიერ ჩაატარებს პროგრამის სრულ შეფასებას, რომელიც კიდევ უფრო განავითარებს "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამის ხელმძღვანელი ქეთი ცხადაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხდა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი გათვალისწინებულია. ძირითადი საგნების ბლოკს დაემატა ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციის გასამტკიცებელი საგანი. გარდა ამისა, საერთაშორისო თანამშრომლობის მხრივ ხდება მოძიება პარტნიორების. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ცდილობს უფრო ცხადი გახადოს პროგრამის მიზნები და შედეგები, რომლებიც ახლო მომავალში მოყვანილი იქნება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან და საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. რაც შეეხება ქართულენოვან პროგრამას, ის სრულად აკმაყოფილებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებსა და საკვალიფიკაციო ჩარჩოს, გაკეთებულია პირველადი მონახაზები და უნივერსიტეტი სექტემბრის თვიდან ელის სტუდენტთა პირველ ნაკადს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია სტაჟირებასთან დაკავშირებით რჩევა. მას აინტერესებდა, რა იყო ის მიზეზი, რომელმაც ამ საკითხის რჩევის სახით გაცემა გამოიწვია. საერთაშორისო ექსპერტმა, პანტელის იპსილანდისმა უპასუხა, რომ ექსპერტთა ჯგუფს თავიდან მიაჩნდა სტაჟირება პროგრამის აუცილებელ კომპონენტად იმიტომ, რომ ეს არის პირდაპირი კონტაქტი რეალურ სამყაროსთან, სადაც კურსდამთავრებულებმა უნდა გამოიმუშაონ თეორიული ცოდნით პრაქტიკული უნარები, თუმცა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ეს არის საერთაშორისო პროგრამა, სადაც უცხოელი სტუდენტები სწავლობენ და ყველა სტუდენტის სტაჟიორად დასაქმება კომპანიაში იქნება რთული. ამის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს საქართველოში უცხოელი სტუდენტების ქართული ენის ცოდნის დაბალი მაჩვენებელი. შესაბამისად, უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტებმა გაიზიარეს და სტაჟირების საკითხი დატოვეს არა რეკომენდაციის, არამედ რჩევის სახით. ქეთი ცხადაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი აპირებს საწყის ეტაპზე სტაჟირება იყოს ასარჩევი კურსი იმიტომ, რომ ის არ არის დაკავშირებული პროგრამის შედეგების მიღწევასთან. პროგრამის მეორე ხელმძღვანელმა რევაზ პაპუკაშვილმა აღნიშნა, რომ მემორანდუმები უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ისეთ კომპანიებთან, როგორებიცაა ბაზარზე არსებული მოწინავე ბანკები, დიდი ბიზნეს ჯგუფები და ა.შ. საერთაშორისო გამოცდილება და ინგლისური ენის ფაქტორი კიდევ უფრო მეტად დაეხმარება ამ პროგრამას და სტუდენტებს მარტივად ინტეგრირებისათვის ახალ სამუშაო გარემოში სტაჟირების პერიოდში.

გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, იმისათვის, რომ სტუდენტმა მიიღოს სრულყოფილი ცოდნა, პროგრამაზე მხოლოდ ლიტერატურაზე დაყრდნობით მიმდინარეობს სწავლება, თუ სხვა დამხმარე წყაროების დახმარებითაც.

პროგრამის ხელმძღვანელმა ქეთი ცხადაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხის მეტი სიცხადისთვის დაწესებულებამ აიღო სტატისტიკური და მონაცემთა ანალიზის მიდგომებთან დაკავშირებული კურსები, კერძოდ მონაცემთა ვიზუალიზაცია და მონაცემთა ანალიზი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ რეალურ მონაცემთა ბაზების არსებობა განპირობებულია სანდო მონაცემთა საცავებით. მაგალითად, კურსს „მონაცემთა ანალიზს“ ახლავს სახელმძღვანელო და მასთან

დაკავშირებული ინფორმაცია ატვირთულია „Github“-ზე. ასევე, კურსი „მონაცემთა ვიზუალიზაცია“ აგებულია „Microsoft“-ის პროდუქტის ბიზნეს ანალიტიკის სტუდენტების მიერ მონაცემთა ვიზუალიზაციაზე დაყრდნობით. ამრიგად, ეს ბაზები აღებულია „Microsoft“-ის სასერტიფიკატო კურსისთვის განკუთვნილი სავარჯიშოებიდან, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია.

საბჭოს წევრმა მამუკა ხუსკივაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რატომ არის მარკეტინგთან დაკავშირებული საგნები არჩევით ბლოკში. გარდა ამისა, რატომ არის „საერთაშორისო ბიზნესი“, „ადამიანური რესურსების მართვა“ და ‘ბიზნესის სამართალი“ არჩევითი, და არა ძირითადი საგნები. მამუკა ხუსკივაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს კვლევითი საბაკალავრო ნაშრომი 30 კრედიტის მოცულობით, თუმცა სტუდენტს შეუძლია აიღოს არა 30 კრედიტის, არამედ 12, ან 18 კრედიტის მოცულობით. მას აინტერესებდა, რომელი დამატებითი საგნებით შეივსება დარჩენილი 18 კრედიტი თუ სტუდენტი 12 კრედიტის მოცულობით აირჩევს კვლევით საბაკალავრო ნაშრომს. პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთი ცხადაძემ უპასუხა, რომ სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა არის 30 კრედიტიანი და უნივერსიტეტი არ განიხილავს 12 ან 18 კრედიტიან ნაშრომს.

დაწესებულების წარმომადგენლის, არჩილ ჯანგირაშვილის თქმით, ასეთი გაუგებრობა გამოიწვია ერთმა დებულებამ, რომელიც არეგულირებს სხვადასხვა პროგრამებს. პროგრამების მიხედვით არის საბაკალავრო ნაშრომის სიტყვებისა და გვერდების რაოდენობა განსაზღვრული. შესაბამისად, სტუდენტის მიერ კვლევით საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა არის 30 კრედიტიანი. ქეთი ცხადაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და ძირითადი საგნების ბლოკს დაემატა „ადამიანური რესურსების მართვა, ხოლო სხვა კურსები, როგორებიცაა „მარკეტინგი“, „ბუღალტერია“ და „ბიზნეს სტრატეგია“ გათვალისწინებულია პროგრამის სხვა ძირითად კურსებში, კერძოდ „ბიზნესი და ეკონომიკა“ და „მომხმარებელთა გამოცდილება“. ეს უკანასკნელი კურსები შეიცავს მარკეტინგულ საკითხებს, რომლებიც დასჭირდება ბიზნესანალიტიკოს და გაიყვანს ბიზნესის ადმინისტრირების მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე.

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციას შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით საქართველოს გარეთ. მას აინტერესებდა, როგორია უნივერსიტეტის გეგმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი დიდი ხანია ინგლისურენოვან პროგრამებს ახორციელებს იმიტომ, რომ დაწესებულებას გააჩნია ამის რესურსი. უნივერსიტეტში შექმნილია „საერთაშორისო ოფისი“, რომელიც მუშაობს პროგრამის საჭიროებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაწესებულება იმიტომ დაეთანხმა ამ რეკომენდაციას, რომ ის რესურსი, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია, კერძოდ აგენტებთან კომუნიკაციის ნაწილში უზრუნველყოფს შრომის ბაზრის კვლევის სწორად განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ პროგრამაში არ მოიპოვება „საბაკალავრო ნაშრომის“ სილაბუსი და მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია არის მოცემული. მას აინტერესებდა, არის თუ არა სადმე გაწერილი „საბაკალავრო ნაშრომის“ სილაბუსი. პროგრამის ხელმძღვანელმა ქეთი ცხადაძემ უპასუხა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია როგორც საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, ისე „საბაკალავრო ნაშრომის“ სილაბუსი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 15:09
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, აკრედიტაციის საბჭომ 1.3 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.
საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა აღნიშნული რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. პროგრამის აღწერა და მისი მიწოდება დაინტერესებულ მხარეებისთვის უნდა ასახავდეს პროგრამის მახასიათებლებს და მოერიდოს მომიჯნავე პროფესიულ სფეროებზე (მაგ.ფინანსური ანალიტიკოსი, სტატისტიკური ანალიტიკოსი და ა.შ.) მითითებას.
2. გაფართოვდესშრომის ბაზრის კვლევა იმგვარად, რომ მოიცვას საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორი, ვინაიდან ბიზნეს ანალიტიკის კურსდამთავრებულს ნებისმიერ ინდუსტრიაში მუშაობის შესაძლებლობა აქვს.
3. შრომის ბაზრის კვლევა და დასაქმების შეთავაზებების შესწავლა უნდა მოიცავდეს საერთაშორისო ბაზარს, რადგან პროგრამა საერთაშორისო სტუდენტებზეცაა ორიენტირებული.
4. გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები იმგვარად, რომ ასახავდეს სტუდენტების მოლოდინს ცოდნისა და უნარების შესახებ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, და ხაზი უნდა გაესვას პროგრამის ფილოსოფიასა და დასაბუთებას.
5. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე უნდა მოიცავდეს ტრანსფერულ უნარებს, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი და ა.შ.
6. სასწავლო გეგმის რუკა უნდა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამების გარკვეული შედეგების მიღწევის (შესავალი, გაღრმავება, დაუფლება) სათანადო დონეები.
7. რეკომენდებულია, რომ პროგრამამ შეადგინოს სათანადო და თანმიმდევრული დოკუმენტი, რომელიც განმარტავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, მათ შორის პირდაპირი შეფასების მეთოდებს შესაბამისი ინსტრუმენტებით, სასურველ

მიზნებს, განსაზღვრავს მიზნიდან გადახრის შესაძლო ზღვარს, განსაზღვრავს რეაგირების მექანიზმებს სამიზნე ნიშნების ვერ მიღწევის შემთხვევაში; საჭიროების შემთხვევაში ჩამოაყალიბებს არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს მკაფიო და თანმიმდევრული მექანიზმით.

8. რეკომენდებულია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს მხარდაჭერა და გაიაროს ხშირი ტრენინგები სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად. ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა.
9. გადაიხედოს პროგრამის შინაარსი იმ კომპონენტების დამატების მიმართულებით, რომლებიც აძლიერებს მის ბიზნეს/ მენეჯმენტის პროფილს და თავსებადია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ისეთი საგნები, როგორიცაა მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა, რისკების მართვა, ბუღალტერია, ბიზნეს სტრატეგია არა მხოლოდ ძირითადი კომპონენტებია ბიზნესის ადმინისტრირებაში, არამედ მნიშვნელოვანია ბიზნეს ანალიტიკის აპლიკაციებისთვის.
10. შეიქმნას პროგრამის საბჭო, რომელშიც შევლენ პროგრამის ხელმძღვანელები და ოთხი კომპონენტის ხელმძღვანელები (ბიზნესი/ მენეჯმენტი, ინფორმატიკა, ბიზნეს ანალიტიკა, მათემატიკა/ რაოდენობრივი მეთოდები), რომლებიც გადახედავენ კურსებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში/ ბიზნესის ანალიტიკაში/ რაოდენობრივ მეთოდებსა და მათემატიკაში და მოარგებენ მათ შინაარსს ბიზნესის/ მენეჯმენტის მიმართულებას.
11. ამაღლდეს სხვადასხვა სფეროს კურსებს შორის სინერგიის დონე.
12. რეკომენდებულია შემუშავდეს ბიზნეს ანალიტიკაში საბაკალავრო პროექტის სილაბუსი.
13. ჩატარდეს ტრენინგი პედაგოგებისთვის სწავლისა და შეფასების პროცესში სწავლის შედეგების მნიშვნელობასთან, წერასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.
14. გაიზარდოს პროგრამის კურსების საკონტაქტო საათები კრედიტების რაოდენობის, კურსის ორიენტაციისა და შინაარსის მოცულობის გათვალისწინებით.
15. უსდ-მ უზრუნველყოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის განახლება.
16. ინგლისური ენის საწყისი დონის მოთხოვნა B2- მდე უნდა გაიზარდოს, რათა სტუდენტებს არ გაუჭირდეთ იმ პროგრამაზე სწავლა, რომელიც ეხება ტექნოლოგიების გამოყენებასა და ინტეგრაციას, ანალიტიკურ უნარებს და მონაცემთა ანალიზს ბიზნესსა და მენეჯმენტში.
17. უსდ-მ სტატისტიკური და მონაცემთა ანალიზის მიდგომებთან დაკავშირებულ კურსებში უნდა შეიტანოს რეალური მონაცემთა ბაზები სანდო მონაცემთა საცავებიდან, დემონსტრირებისა და პროექტზე დაფუძნებული აქტივობებისათვის.
18. დაინერგოს ფიქსირებული საკონსულტაციო საათები ყველა პედაგოგისთვის (აკადემიური და მოწვეული), რაც საჯაროდ გამოცხადდება My UG და UG Online სისტემების მეშვეობით.
19. უსდ-მ უზრუნველყოს სტუდენტებში გასაჩივრების პროცესის შესახებ ინფორმირებულობა.
20. საბიბლიოთეკო მომსახურება აქტიურად უნდა იყოს ინფორმირებული იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც ბიბლიოთეკა სთავაზობს სტუდენტებს.
21. უნივერსიტეტის შენობაში და კონკრეტულად ფაკულტეტზე გაიზარდოს კომპიუტერების რაოდენობა, რადგან შეთავაზებული პროგრამების რაოდენობა იზრდება.
22. რეკომენდებულია დაინტერესებული მხარეების (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) ჩართულობის გაზრდა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში.
23. რეკომენდებულია მომზადდეს ანგარიშები, რომლებიც ასახავს პასუხებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე.

24. დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეკომენდაციები ქართულენოვანი ბიზნეს ანალიტიკის პროგრამასთან დაკავშირებით და გამოიყენოს ისინი ინგლისურენოვანი ბიზნეს ანალიტიკის პროგრამისთვის.
25. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და ამავდროულად სიახლეს წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში, რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის ან/ და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლების მონაწილეობით.
26. რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულარულად გააანალიზოს სტუდენტების აკადემიური მოსწრება, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

რჩევები:

1. უსდ მოერიდოს კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამების.
2. დოკუმენტები ისეთი სტრუქტურით დალაგდეს ვებგვერდზე, რომ მაქსიმალურად მოსახერხებელი იყოს მომხმარებლისთვის და უცხოელ სტუდენტებს, რომლებიც ამ პროგრამის ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ, გაუმარტივოს წვდომა. ვებგვერდის შინაარსის გააზრებული ორგანიზებით, შესაძლებელია უზრუნველყოთ უცხოელი სტუდენტების მიერ შეუფერხებლად და ძალისხმევის გარეშე მათთვის საჭირო ინფორმაციისმოპოვება.
3. შექმენით სტაჟირების იმგვარი შესაძლებლობები, რომ რაც შეიძლება მეტმა სტუდენტმა ისარგებლოს ამით, ეს დამატებით ღირებულებას მოუტანს სტუდენტებსა და პროგრამას.
4. შეიქმნას იმ დამსაქმებელთა ქსელი, ვინც პროგრამას შესთავაზებს მის შედეგებთან დაკავშირებული სტაჟირების პოზიციებს. გაითვალისწინეთ დამსაქმებლები სხვადასხვა სფეროებიდან. ბიზნეს ანალიტიკის ბაკალავრის დიპლომის მქონე პირს შეუძლია იმუშაოს ნებისმიერ სფეროში, როგორიცაა საცალო ვაჭრობა, წარმოება, მიწოდება ან მომსახურება. მომგებიანი იქნება, თუ პროგრამა მოიცავს წამყვანი სფეროების მოთხოვნებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.
5. თუ პროგრამა ორიენტირებული იქნება საერთაშორისო სტუდენტებზე, შესაძლოა მომგებიანი იყოს ზოგიერთი საერთაშორისო დამსაქმებლის ჩართვა სტაჟირების პარტნიორობისთვის, ბიზნეს ანალიტიკის კონკრეტული სამუშაოს აღწერილობისთვის მისი მართვა შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში.
6. უსდ-მ უზრუნველყოს მეტი მოქნილობა სტუდენტების შეფასებისას, განსაკუთრებით პრაქტიკული ორიენტაციის მქონე კურსზე, რათა სტუდენტებმა შესაბამისი უნარები კიდევ უფრო მეტად განავითრონ.
7. მოწვეულ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგები აკადემიურ გარემოში გაცნობისა და შერწყმის, პროგრამის მიზნებისა და ამოცანების გააზრებისა და გაზიარებისთვის.
8. უსდ-მ ხელი შეუწყოს და წაახალისოს სასწავლო პერსონალი განაახლონ და განავითარონ ინგლისური ენის ცოდნა, რადგან პროგრამა და კომუნიკაცია სტუდენტებთან ინგლისურ ენაზე იქნება.
9. სასურველია პროგრამის შეფასება მოხდეს მონათესავე პროგრამის კურსდამთავრებულთა მიხედვით თანამედროვე დასაქმების ბაზრისთვის საჭირო კომპეტენციებისა და უნარების კვლევის კუთხით.
10. სასურველია პროგრამამ გამოიყენოს განმავითარებელი ურთიერთშეფასება, რომელიც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ლექციებზე დასწრებას და უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
11. სასურველია, დაწესებულებამ რეგულარულად განახორციელოს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით დადგენილი აქტივობები, კერძოდ, აკადემიური

პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასება და შედეგების გამოყენება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივაციისა და განვითარების მიზნით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საავიაციო ინჟინერია Aeronautical Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.02.2022 №156610
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საავიაციო ინჟინერია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი საავიაციო ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები 0716
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. №68, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სასწავლო კორპუსი N I, 0175 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ქუთათელაძემ, მარინე მაისურაძემ და თინათინ ჭაბუკიანმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, ლევან ნიკოლეიშვილი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, თორნიკე ბაქაქურმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს გააცნო უცხოელი ექსპერტის, დევიდ კენედის პოზიცია რეზიუმეს სახით სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. მან განაცხადა, რომ „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ჩამოყალიბდა ქართული საავიაციო ინდუსტრიის მოთხოვნების კვალდაკვალ იმ მისიით, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი უნარების დანაკლისის ამოვსებას და ასაკიანი სამუშაო ძალის კვალიფიციური კურსდამთავრებულების შევსებით. დღემდე მხოლოდ 3 სტუდენტი არის ჩარიცხული პროგრამაზე. ასე რომ, ჯერ შეუძლებელია იმის განსაზღვრა თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მისიას. მიუხედავად ამისა ექსპერტთა ჯგუფმა გამოიკვლია პროგრამის დაგეგმვასთან, განვითარებასა და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცესები იმის გათვალისწინებითაც თუ რა ადგილი უკავია მას ფაკულტეტის ერთიან პროგრამულ პორტფოლიოში. მისი თქმით, პროგრამამ 2022 წელს მიიღო პირობითი აკრედიტაცია ხარისხის განსავითარებლად 31 რეკომენდაციით, რომელთა უმეტესობა დაკმაყოფილებულია. პროგრამის განხორციელების პარალელურად შესაძლებელი იქნება დარჩენილთა იმპლემენტაციაც, ინფრასტრუქტურის განახლებისა და საუნივერსიტეტო პროგრამული შეფასება განვითარების პროცესში მონაწილეობის კონტექსტში. საერთაშორისო ექსპერტის წერილობით პოზიციაში აღნიშნულია, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა სრულ ან მეტწილად შესაბამისობაშია ყველა სტანდარტთან და ქვესტანდარტთან. დადებითად აღსანიშნავია დამსაქმებლების მაღალი ჩართულობა პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში. მისი თქმით, ძლიერი თანამშრომლობაა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის გუნდთან და საერთაშორისო ექსპერტებიც ჩართული იყვნენ გარე დადარების ე.წ. „Benchmarking“ პროცესში. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა 8 რეკომენდაცია და 4 რჩევა. მთავარი საჭიროებაა სტუდენტების რაოდენობის გაზრდა პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით. ამ კუთხით უნივერსიტეტმა პროგრამაზე მარკეტინგული კამპანია აქტიურად უნდა აწარმოოს, რათა მოიზიდოს აბიტურიენტები და ინდუსტრიის წარმომდგენლები. მისი თქმით, პროგრამის

მართვისა და განხორციელების მიზნით შესაბამისი სპეციალისტებით უნდა დაკომპლექტდეს პერსონალი. გარდა ამისა, გარკვეული ცვლილებებია შესატანი როგორც სილაბუსებში, ისე სტუდენტებისათვის ინფორმაციის სათანადო მიწოდების საკითხებში. დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში რაიმე პრობლემური მხარე არ გამოკვეთილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი დავით მახვილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხდა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ გაცემულ როგორც წინას, ისე არსებულ რეკომენდაციებს დაწესებულება იზიარებს. წინა აკრედიტაციის პროცესი იყო რთული როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური თვალსაზრისით. პროგრამის მიმართ გაიცა 8 რეკომენდაცია. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების გაძლიერებას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროგრამას არ გააჩნია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მექანიზმი. ექსპერტები გულისხმობენ იმას, რომ პროგრამას არ ჰყავს საკმარისი სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ასევე, მცირეა მობილობით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა პროგრამაზე იმიტომ, რომ როდესაც პროგრამამ მიიღო პირობითი აკრედიტაცია, ერთიანი ეროვნული გამოცდებით სტუდენტების მიღება შეუძლებელი იყო. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია გაიცა არა პრობლემის გამო, არამედ პროგრამის სრულყოფილების ნაკლებობის გამო. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ მეორე და მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სილაბუსების დაკორექტირებას. წინა აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები არსებითად განსხვავდება არსებული რეკომენდაციებისაგან. დღეს უკვე მოსაწონია პროგრამა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტების მიერ. მეოთხე რეკომენდაცია განაპირობებს მეორე სტანდარტის მეტწილად შესაბამისობას. მისი თქმით, პროგრამას აქვს უნივერსიტეტის ბაზაზე ძლიერი კონკურენტი პროგრამები. შესაბამისად, უნდა გაძლიერდეს მარკეტინგული მიმართულება ამ პროგრამის ცნობადობის მიზნით. მისი თქმით, როდესაც ექსპერტები ახორციელებდნენ პროგრამის გარე შეფასებას, დაწესებულებას არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ დაედასტურებინა ის თუ რა მოთხოვნა ჰქონდა პროგრამას და რა შედეგი გამოიღო იმ ღონისძიებამ, რომელიც უნივერსიტეტმა მარკეტინგული მიმართულებით განახორციელა. დღეს ძალიან მაღალი კონკურსია გამოცხადებული ამ პროგრამაზე, რომელიც ძველ, ტრადიციულ პროგრამასაც უწევს კონკურენციას. დავით მახვილაძის თქმით, მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა ლაბორატორიული და პრაქტიკული მიმართულების გაძლიერებას პროგრამაში. როგორც უცხოელი ექსპერტი დევიდ კენედი აღნიშნავს, ის ორი ლაბორატორია, რომელიც ორი წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა თავის პარტნიორ კომპანიებთან ერთად შექმნა დაწესებულებაში, ადგილზე გაძლიერებას კიდევ უფრო მოითხოვს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით როგორც უნივერსიტეტის, ისე პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე. მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა თვითშეფასების ჯგუფში და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში სტუდენტების როლის გაზრდას. უნივერსიტეტმა ვერ შეძლო ობიექტური მიზეზის გამო ექსპერტების დარწმუნება იმაში, რომ სტუდენტები მაქსიმალურად ჩართული არიან უნივერსიტეტის ყველა ღონისძიებაში. მეშვიდე რეკომენდაცია ეხებოდა ფაკულტეტის მიერ საავიაციო ინჟინერიის სპეციალისტების გაძლიერებას. დავით მახვილაძის თქმით, ამ კუთხით პროგრამა დიდი გამოწვევის წინაშე დგას იმიტომ, რომ დღეს არსებული აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი ასაკოვანია. გარდა ამისა, რამდენიმე ათეული წელი ამ დარგის მიმართულებით სპეციალისტები აღარ მზადდებოდნენ. ეს პროგრამა ემსახურება იმას, რომ მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები „საავიაციო ინჟინერიის" მიმართულებით. შესაბამისად, აღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი იზიარებს. მერვე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სტუდენტების ჩართულობას პროგრამის შემუშავებაში, თავისი შინაარსით ჰგავს მეექვსე რეკომენდაციას. ამ მიმართულებითაც უნივერსიტეტი დიდი გამოწვევის წინაშე

დგას იმიტომ, რომ პროგრამაზე არ არის სტუდენტთა საკმარისი რაოდენობა, რათა ისინი ჩაერთონ პროგრამის შემუშავების პროცესში, თუმცა ახალი სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტი მიიღებს 10 პირველკურსელს და მობილობით კიდევ გაიზრდება ეს რაოდენობა, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული რეკომენდაციის სისრულეში მოყვანას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ საინტერესოა უცხოელი ექსპერტის, დევიდ კენედის პოზიცია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. მისი თქმით, დასკვნაში წარმოდგენილია რამდენიმე რეკომენდაცია და გაკეთებულია ანალიზი წინა რეკომენდაციების შესახებაც. მას აინტერესებდა, არის თუ არა წინა რეკომენდაციების შესახებ გაკეთებული მოსაზრებები ახალი რეკომენდაციების ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა უპასუხა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა წინა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. დაწესებულებაში ახალი ვიზიტის მიზანი იყო როგორც წინა, ისე არსებული (ახალი) რეკომენდაციების შესრულება - არშესრულების დადგენა.

საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, რომ კომენტარი გაეკეთებინათ იმ რეკომენდაციებზეც, რომლებიც წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო გაცემული. დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციათა დიდ ნაწილს უნივერსიტეტი არ დაეთანხმა. აკრედიტაციის საბჭო იცნობს უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მისი თქმით, უნივერსიტეტმა თითოეული რეკომენდაცია დეტალურად შეისწავლა და რაც გამოსასწორებელი იყო გამოასწორა. მაგალითად, მოხდა ინვესტიციების ჩადება პროგრამის ნაწილში, შეიქმნა ორი სასწავლო ლაბორატორია უნივერსიტეტის ბაზაზე, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე ინფრასტრუქტურით. ექსპერტები ადგილზე გაეცნენ იმას, რაც უნივერსიტეტმა პროგრამის განვითარებისათვის გააკეთა.

გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „სასწავლო კურსებში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა უნდა ეფუძნებოდეს დარგში საერთაშორისო მნიშვნელობის უახლოეს მიღწევებს“. მას აინტერესებდა, შეასრულა თუ არა უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტმა თინათინ გაბრიჩიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. უნივერსიტეტმა დიდი სამუშაო გაწია იმ რეკომენდაციების შესასრულებლად, რომლებიც წინა ექსპერტებმა გასცეს, თუმცა გარკვეული სამუშაოები ამ რეკომენდაციების სრულყოფილად შესასრულებლად კიდევ არის დაგეგმილი. შესაბამისად, წინა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია, თუმცა მათ სრულყოფილებაში მოყვანისათვის გარკვეული დროა საჭირო და უნივერსიტეტი ამაზე მუშაობს.

ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს არ ჰქონდათ იმის უფლება, რომ ახალი რეკომენდაციები გაეცათ წინა ექსპერტების მიერ შემუშავებულ დასკვნის საფუძველზე. ძველი რეკომენდაციები იმიტომ არის ასახული დასკვნაში, რომ კარგად გამოჩნდეს რამდენად არის მზად უნივერსიტეტი ცვლილებების მისაღებად და რეკომენდაციების შესრულების პროცესის გასაუმჯობესებლად.

საბჭოს წევრმა ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ პროგრამულ ბიუჯეტში არ არის აღნიშნული მოწვეული პერსონალის განვითარების ხარჯი. მას აინტერესებდა, არის თუ არა მოწვეული პერსონალის განვითარების ხარჯი საუნივერსიტეტო ბიუჯეტში აღნიშნული. ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა კითხვა დაუსვა ასევე ექსპერტებს, მას აინტერესებდა, შეამოწმეს თუ არა ექსპერტებმა 2022 წლის სამოქმედო გეგმით წარმოდგენილი მატერიალური ტექნიკური რესურსების შესყიდვა. მან განაცხადა, რომ

დასკვნაში წერია შემდეგი რამ: „23-ე, 25-ე და 26-ე რეკომენდაციებთან დაკავშირებით ინსტიტუცია ამბობს, რომ დამოკიდებულია უნივერსიტეტის დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე“. მისი თქმით, როგორც უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში, ისე 2022 – 2026 წლების სამოქმედო გეგმაში მატერიალურ-ტექნიკურ დაფინანსებაზე არაფერია წერია. დაწესებულების თქმით, პროგრამაზე ძალიან დიდია მოთხოვნა. ბიუჯეტი აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე 120 სტუდენტზეა გათვლილი. მას აინტერესებდა, რას გააკეთებს უნივერსიტეტი იმისათვის, რომ პროგრამაზე გამოცხადებული ვაკანტური ადგილები სრულად შეავსოს.

საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ მატერიალური რესურსის ნაწილში, კერძოდ 4.4 სტანდარტის აღწერილობით ნაწილში წერია შემდეგი ფრაზა: „ჯერ არა აქვთ ლაბორატორიები პროგრამის ყველა კომპონენტისათვის“. მას აინტერესებდა, ამ ფრაზიდან გამომდინარე ამჟამად არსებული ტექნიკური ბაზა რამდენად არის მდგრადი სასწავლო პროცესის უწყვეტად განხორციელებისათვის.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება გარკვეული სასწავლო კურსების მიზანი და სწავლის შედეგები. ესენია „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“, „შესავალი ფსიქოლოგიაში“, „სოციოლოგიის შესავალი“, „საქართველოს ისტორია“, და „კულტუროლოგია“. უნივერსიტეტს „პოლიტოლოგიის“ სასწავლო კურსისთვის გამოცემული აქვს ახალი სახელმძღვანელო, თუმცა პედაგოგს, რომელიც ასწავლის ამ კურსს მითითებული აქვს ძირითად ლიტერატურად ძველი სახელმძღვანელო. მას აინტერესებდა, უნივერსიტეტმა რა მექანიზმები უნდა შეიმუშაოს იმისათვის, რომ ასეთი გაუგებრობები აიცილოს თავიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა. მან განაცხადა, რომ ორი საზღვარგარეთ მიღებული განათლების მქონე პირია პროგრამაზე მოწვეული ლექტორის სტატუსით. მისი თქმით, პროგრამის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს მოწვეული პერსონალის განვითარების ხარჯებს. „აკადემიურ პერსონალთა და მასწავლებელთა გადამზადების ცენტრი“ ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან. ამ ცენტრს აქვს, როგორც სპეციფიკური, ისე საუნივერსიტეტო მიმართულებები, თუმცა ცალკე აღებული სასწავლო - მოსამზადებელი კურსი მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად „საავიაციო ინჟინერიის“ მიმართულებით ცენტრს არ გააჩნია, თუმცა დაწესებულება უზრუნველყოფს სხვადასხვა შეხვედრების ფორმატში მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას. მატერიალურ - ტექნიკურ რესურსების განვითარების 2022 – 2026 წლების გეგმასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს როგორც ლაბორატორიები, ისე ძრავის მოდელები და დრონები. უნივერსიტეტის მიერ ძრავის მოდელებისა და დრონების შესყიდვა არ ხდება მხოლოდ დაწესებულების ბიუჯეტიდან, არამედ მწარმოებელიც დიდ დახმარებას უწევს უნივერსიტეტს ამ პროცესში. ექსპერტმა გიორგი მელაძემ დაადასტურა, რომ დაწესებულებას ნამდვილად აქვს შესყიდული აღნიშნული ტექნიკა. დავით მახვილაძემ პროგრამაზე გამოცხადებული ვაკანტური ადგილების სრულად შევსებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სიფრთხილით ეკიდება ამ პროგრამის განხორციელების ხარისხს იმიტომ, რომ პროგრამას ჰქონდა დიდი წყვეტა. მისი თქმით, ჩატარებული კვლევების მიხედვით, დაწესებულებას შეუძლია 40 – 50 სტუდენტის მიღება. დავით მახვილაძემ ერმილე მესხიას დასმულ შეკითხვებს უპასუხა. მან განაცხადა, რომ საუნივერსიტეტო მასშტაბით სასწავლო კურსების რაოდენობა დაყვანილია 3400 - მდე. მისი თქმით, არსებობდა სასწავლო კურსების „კლონები“, რომლებშიც განსხვავებული იყო კრედიტის მოცულობა, ლიტერატურათა რაოდენობა და ა.შ. ეს ხარვეზი გამოსწორდა. თუ რომელიმე სასწავლო სილაბუსს აქვს ხარვეზი ახლო მომავალში გამოსწორდება. დავით მახვილაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია როგორც თანამედროვე ლაბორატორიებით, ისე მატერიალური რესურსით.

ფაკულტეტის დეკანმა ოთარ გელაშვილმა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს ამ საკითხზე. მისი თქმით, მიმდინარე წელს ორმა დოქტორანტმა

„საავიაციო ინჟინერიის“ მიმართულებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი და სურვილს გამოთქვამენ, რომ ჩაერთონ უმაღლეს საგანმანათლებლო პროცესებში. გარდა ამისა, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ამ მიმართულებით დოქტორანტურის მიმართულებით ორი ადგილია გამოყოფილი. მან აღნიშნა, რომ პირობითი აკრედიტაციის დროს უნივერსიტეტმა ერთიანი ეროვნული გამოცდებით სტუდენტთა მიღება ვერ განახორციელა, თუმცა მობილობით 3 სტუდენტი სწავლობს „საავიაციო ინჟინერიის“ მიმართულებით. პროგრამის ხელმძღვანელმა რამინ ზუკაკიშვილმა განაცხადა, რომ თავდაცვის მინისტრის 6 ივნისის ბრძანებით უნივერსიტეტს გადმოეცა მერკურის ტიპის 6 ადგილიანი თვითმფრინავი და „MI-2“ ტიპის ვერტმფრენი, რომელიც გადმოტანილი იქნება უახლოეს მომავალში უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. ექსპერტმა ვაჟა კელიხაშვილმა პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტი და ის აქტივობები, რომლებიც მატერიალური ტექნიკური განვითარებისთვის იყო დაგეგმილი მიმდინარე წლებისათვის ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს. მატერიალური რესურსის შეძენა ამ დარგის მიმართულებით ყველა უნივერსიტეტისთვის, სადაც მსგავსი პროგრამა ხორციელდება დიდი გამოწვევაა. უნივერსიტეტმა კარგად წარმოადგინა აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ის რესურსი, რომელიც მას გააჩნია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტი მზად უნდა იყოს უფრო დიდი მოცულობით თანხების მობილიზებისათვის, რათა უფრო გაუმჯობესდეს მატერიალური ტექნიკური ბაზები.

საბჭოს წევრმა ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა კითხვა დაუსვა ვაჟა კელიხაშვილს. მას აინტერესებდა, არის თუ არა საკმარისი თანადაფინანსების პირობებში არსებული თანხა პროგრამის განსახორციელებლად. ექსპერტმა უპასუხა, რომ თანადაფინანსების თანხაში იგულისხმება იმ მატერიალური ბაზის განვითარება, რომელიც უნივერსიტეტშია წარმოდგენილი. ამ თანხაში არ იგულისხმება ის თანხა, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამების განსახორციელებლად. მიმდინარე ეტაპზე არსებული თანხა დამაკმაყოფილებელია პროგრამის განსახორციელებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამის განხორციელებისათვის არსებული თანხა არის არა დამაკმაყოფილებელი, არამედ როგორც უცხოელი ექსპერტი აღნიშნავს „არსებულზე მეტი“.
ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ ნაკლები საფრთხეა იმისა, რომ პროგრამა ვერ განხორციელდეს იმიტომ, რომ პროგრამას ჰყავს ბევრი პარტნიორი და დამსაქმებელი. მათ აქვთ ისეთი მატერიალური რესურსი, რომელთა ყიდვას საქართველოში არსებული ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვერ შეძლებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:16
დასრულების დრო: 17:04
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2026 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. კერძოდ, 4.4 და 4.5 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. საავიაციო ინჟინერიის პროგრამამ უნდა განსაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კონკრეტული არაპირდაპირი მეთოდები და მათი შესაბამისი მახასიათებლები.
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა ეფუძნებოდეს დარგში საერთაშორისო მნიშვნელობის უახლეს მიღწევებს.
3. საავიაციო ინჟინერიის პროგრამამ უნდა გადაწეროს თავისი სილაბუსები, რომლებიც ეხება კომპოზიტურ მასალებს, რათა განასხვავოს მასალების მეცნიერების თემები და თვითმფრინავების მშენებლობაში გამოყენებული პროდუქტები.
4. საავიაციო ინჟინერიის პროგრამამ კურსის შინაარსის ასახვის მიზნით, კურსს „ელექტრომოწყობილობის საფუძვლები აერონავტიკაში“ უნდა დაარქვას „ელექტრომოწყობილობის საფუძვლები“.
5. საავიაციო ინჟინერიის პროგრამის შეახებ ინფორმაცია აქტიურად უნდა გავრცელდეს პოტენციურ კანდიდატებს შორის, მაგალითად, ფაკულტეტისა და დამსაქმებლების სკოლაში ვიზიტების საშუალებით, ხაზი უნდა გაესვას მის განსხვავებულობას მექანიკური ინჟინერიისა და უფრო ზოგადი საავიაციო ინჟინერიის პროგრამებისგან.
6. საავიაციო ინჟინერიის პროგრამის შესაბამისი ლაბორატორიული და პრაქტიკული მეთოდები უნდა დაიწეროს და შესრულდეს შეფასების ნაწილში და სილაბუსებში.
7. რეკომენდებუალია, დაწესებულებაში მოქმედი წესების შესახებ სტუდენტების ინფორმირების ეფექტური მექანიზმების დანერგვა (საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები ან/ და ელექტრონული კომუნიკაცია და ა.შ.).
8. საავიაციო ინჟინერიის პროგრამამ უნდა გაზარდოს სტუდენტების როლი თვითშეფასების ჯგუფში და აამაღლოს ცნობიერება ხარისხის გაუმჯობესების პროცესის შესახებ.
9. საავიაციო ინჟინერიის პროგრამის განვითარებასთან ერთად, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტმა უნდა დაიქირაოს სპეციალისტები, რათა მათ მართონ და განახორციელოს პროგრამა, და ამით აიღოს გრძელვადიანი პასუხისმგებლობა პროგრამის წარმატებაზე.
10. რეკომენდებულია უნივერსიტეტის მატერიალურ- ტექნიკურ რესურსებს დაემატოს არადესტრუქციული კონტროლის მაგნიტური და რენტგენის კონტროლის მეთოდების შესასწავლად საჭირო ლაბორატორიული საშუალებები.
11. რეკომენდებულია, ურთიერთშემცვლელობისა და ტექნიკური გაზომვების ლაბორატორიაში გამოყენებული თვალსაჩინოებისი მასალა იყოს სწავლების ენაზე.

12. რეკომენდებულია, დეტალურად უნდა გაიწეროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხარჯები და პროგრამის მატერიალურ- ტექნიკური რესურსები.
13. რეკომენდებულია, პროგრამის შეფასებისა და განვითარებისათვის საჭირო ყველა მექანიზმის გამოყენება, რომელსაც თავად უნივერსიტეტი აყალიბებს და მნიშვნელოვნად მიიჩნევა პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის.
14. საავიაციო ინჟინერიის პროგრამამ უნდა გაზარდოს სტუდენტების ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში.

რჩევები:

1. სასურველია საავიაციო ინჟინერიის პროგრამამ სტუდენტებს ლაბორატორიული სავარჯიშოების პრაქტიკული გამოცდილების მეტი შესაძლებლობები მისცეს.
2. სასურველია საავიაციო ინჟინერიის პროგრამამ სალექციო პროცესებსა და განრიგში მეტად გაითვალისწინოს სტუდენტების ინტერესები.
3. სასურველია საავიაციო ინჟინერიის პროგრამამ მოლაპარაკება აწარმოოს ეკონომიკურ სუბიექტებთან და დამსაქმებლებთან, რათა დასაქმებულ სტუდენტებს საშუალება მისცენ გააგრძელონ სასწავლო პროცესი და დაესწრონ ლექციებს.
4. სასურველია საავიაციო ინჟინერიის პროგრამამ აამაღლოს კვლევის პროფილი საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციებისა და კონფერენციებში მონაწილეობის გაზრდით.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ,,ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27/05/2021 MES 5 21 0000491328
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		0613 პროგრამული

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი N6, მ.კოსტავას ქ. N77, თბილისი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ,,ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27/05/2021 MES 5 21 0000491481
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინორმატიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 კრედიტი, 3 წელი
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი N6, მ. კოსტავას ქ. N77, თბილისი, 0175, საქართველო

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ქუთათელაძემ, მარინე მაისურაძემ და თინათინ ჭაბუკიანმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
სხდომა დატოვეს გურანდა ჭელიძემ და თამარ სირაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე და მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მიხეილ რუხაია მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ,,ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, თუმცა დარჩენილია რამდენიმე ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციების შესრულება. მისი თქმით, პროგრამა დაყოფილია კონცენტრაციებად. რეკომენდებული იყო, რომ კონცენტრაციებისთვის ცალ-ცალკე გაწერილიყო სწავლის შედეგები. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს ამ შედეგების რუკა და მასში გაიწეროს მათი მიღწევის დონეები. ასევე, უნდა დაზუსტდეს უცხოური ენა მისაღებ წინაპირობად და დარჩეს მხოლოდ ინგლისური და არა ზოგადად უცხოური ენა, რათა გამოირიცხოს სხვა ენით ჩარიცხვა პროგრამაზე. გარდა ამისა, პროგრამის მიღების წინაპირობაში არსებული სიტყვა „გასაუბრება“ უნდა შეიცვალოს „გამოცდით“. ექსპერტმა მიხეილ რუხაიამ ,,ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა 2 რეკომენდაცია. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსის სათაურის შეცვლას, კერძოდ „კვლევის მეთოდებს ინფორმატიკაში“ უნდა შეცვლოდა სახელი და დარქმეოდა ის, რაც შინაარსის მიხედვით იყო. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური პერსონალის დოკუმენტების მოწესრიგებას იმიტომ, რომ რამდენიმე სილაბუსით გათვალისწინებულ ლექციებს კითხულობდა სხვა და არა თვით ამ სიალბუსების ავტორები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი დავით მახვილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხდა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. ,,ინფორმატიკის" სამაგისტრო და

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ყველა ახალი რეკომენდაცია გაიზიარა, რომელიც მარტივად გამოსასწორებელია და უახლოეს მომავალში გამოასწორებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა მიხეილ რუხაიას. მას აინტერესებდა, წინა აკრედიტაციის პროცესის დროს რატომ არ იქნა ის ტექნიკურ ხარვეზები შემჩნეული, რომლებიც ახლა დასკვნაში რეკომენდაციების სახით არის ჩამოყალიბებული. ექსპერტმა მიხეილ რუხაიამ უპასუხა, რომ წინა აკრედიტაციის ფარგლებში არ შემჩნეულა აღნიშნული ტექნიკურ ხარვეზები, რაც შეიძლება ჩაითვალოს ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეცდომად.
საბჭოს წევრმა ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა კითხვა დაუსვა ექსპერტს. მან განაცხადა, რომ სილაბუსებში მითითებული სილაბუსის ავტორი არ არის კურსის განმახორციელებელი პირი. მას აინტერესებდა, ექსპერტებმა შეამოწმეს თუ არა განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაცია იმ სასწავლო კურსებთან მიმართებით, რომლებსაც ისინი კითხულობენ.
მიხეილ რუხაიამ დაადასტურა, რომ ექსპერტებმა შეამოწმეს იმ განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაცია იმ სასწავლო კურსებთან მიმართებით, რომლებსაც ისინი კითხულობენ და დასკვნაში დეტალურად არის აღწერილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:17
დასრულების დრო: 17:19
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ,,ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესასრულებლად 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ,,ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობებისა და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა აღნიშნულირეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია თითოეული კონცენტრაციისათვის გაიწეროს მათი სასწავლო კურსებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა შედეგის მიღწევის დონეების მიხედვით.

2. დაზუსტდეს (შეიცვალოს) „უცხოური ენა“, როგორც „ინგლისური ენა“ და ცოდნის B2 დონესთან შესაბამისობის დასადგენად გასაუბრება შეიცვალოს გამოცდით.

რჩევები:

1. სასურველია ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამის შესაბამისობის დოკუმენტის შემუშავება.
2. სასურველია სასწავლო კურსებისა და პროგრამის შედეგების რუკა გაიწეროს შედეგის მიღწევის დონეების მიხედვით.
3. სასურველია განხორციელდეს ნაშრომის ხელმძღვანელების ფინანსური წახალისება;
4. სასურველია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაზარდონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირებულობის დონე პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებთან მიმართებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ,,ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესასრულებლად 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22- ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ,,ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობებისა და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. სასწავლო კურსს „კვლევის მეთოდები ინფორმატიკაში“ შეეცვალოს სახელი შინაარსის შესაბამისად („ოპერაციათა კვლევა“ ან მსგავსი), ხოლო პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ინფორმატიკაში“ შესაბამისი შინაარსით.
2. მოწესრიგდეს დოკუმენტაცია და დაზუსტდეს „ხელოვნური ინტელექტი“, „მანქანური სწავლების მეთოდები და ალგორითმები“, „დიდ მონაცემთა ტექნოლოგია - ბიზნეს ანალიტიკა, დეველოპმენტი და იმპლემენტაცია“ და „განათლების თანამედროვე ტექნოლოგიები და ინფორმატიკის დიდაქტიკა“, კურსების განმახორციელებელი პერსონალი.

რჩევები:

1. სასურველია სასწავლო კურსებისა და პროგრამის შედეგების რუკა გაიწეროს შედეგის მიღწევის დონეების მიხედვით.

2. სასურველია გაიწეროს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების ფინანსური წახალისების მექანიზმი;

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა Public Administration
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21.06.2022 №684237
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის # 59, ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას

დააკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ნინო ფარსადანიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო აკრედიტაციის ეტაპზე 7 რეკომენდაცია. უნივერსიტეტმა ოთხი სრულად, ხოლო 3 რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს არ გაიზიარა და წარმოადგინა დამატებითი განმარტება კონკრეტული რეკომენდაციების არშესრულების შესახებ. მისი თქმით, რეკომენდებული იყო, რომ სასწავლო კურსის ეკონომიკის პრინციპების შეთავაზება მომხდარიყო არა ინგლისურ, არამედ ქართულ ენაზე. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსების სწავლების ენა უნდა დარჩეს უცვლელი პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე. მისი თქმით, რეკომენდებული იყო, რომ სასწავლო კურსი „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ შეთავაზებული ყოფილიყო სტუდენტებისთვის ქართული ინგლისურენოვანი კომპონენტებით. დაწესებულება მიიჩნევს, რომ სწავლების ენა უნდა დარჩეს უცვლელი იმიტომ, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი სტუდენტისთვის შეთავაზებულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. ამ რეკომენდაციის შესრულებით სტუდენტს შეეზღუდება სასწავლო კურსის თავისუფალი არჩევის უფლება. ასევე, რეკომენდებული იყო, რომ ინგლისურენოვანი კურსების შეთავაზების შემთხვევაში უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს ინგლისური ენის სწავლების დონე, ენობრივი წინაპირობა და კურსის განხორციელების ლოგიკური ვადა და პერიოდი. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა განმარტა, რომ სწავლების პერიოდში ყველა პირველკურსელი გადის ენის ფლობის განმსაზღვრელ ტესტს ე.წ. „Placement Test”-ს და ინგლისურ ენაზე სასწავლო კურსის არჩევის უფლება მხოლოდ იმ სტუდენტებს აქვთ, რომლებიც ჩააბარებენ ინგლისურ ენას სათანადო დონეზე, კერძოდ „B2 დონეზე“. უნივერსიტეტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამაში ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზება დარგობრივი უცხო ენის შესწავლის შემდეგ მომდევნო სემესტრებში ხორციელდება. ექსპერტმა ნინო ფარსადანიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების აღნიშნული არგუმენტირებული პოზიცია მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მისაღებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი თეა კორძაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხდა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გადაწყვიტა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება. დაწესებულებას გააჩნია ბევრი „Erasmus+“ გაცვლითი პროგრამები. შესაბამისად, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს რამდენიმე კურსის გავლას პროგრამებში ინგლისურ ენაზე. მისი თქმით, „Placement Test”-ის საშუალებით წინასწარ მოწმდება სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონე. თუ ამ ტესტს წარმატებით ჩააბარებენ, შეიქმნება ჯგუფი, რომელშიაც გაერთიანდებიან ისინი და სასწავლო კურსი წაიკითხება ინგლისურ ენაზე. როდესაც სტუდენტი მეოთხე სემესტრში გაივლის ინგლისური ენის სამ კურსს და გავა უკვე შესაბამის დონეზე, სასწავლო კურსს გაივლის გაძლიერებულად ინგლისურ ენაზე. თეა კორძაძემ

„Placement Test”-თან დაკავშირებით განაცხადა, რომ ფაკულტეტზე ყველა სტუდენტისთვის ტარდება „Placement Test”-ი, რომლის მეშვეობითაც ხდება ჯგუფების დაკომპლექტება დონეების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა ენაზე და რა ფორმით ჩაუტარდება სტუდენტს გამოცდა სასწავლო კურსის ინგლისურად გავლის შემთხვევაში. დაწესებულების წარმომადგენელმა თეა კორძაძემ უპასუხა, რომ გამოცდა ჩაუტარდებათ სტუდენტებს ინგლისურ ენაზე. საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა პრინციპით შეირჩა ინგლისურად შესასწავლი კურსები სტუდენტთა სწავლებისათვის. გარდა ამისა, რამდენად საინტერესო იქნება აღნიშნული კურსების გავლა გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა თეა კორძაძემ უპასუხა, რომ ინგლისურად შესასწავლი კურსები სტუდენტთა სწავლებისთვის ირჩევა აკადემიური პერსონალის მიხედვით, კერძოდ ვინც C1 დონეზე ფლობს ინგლისურ ენას და აქვს როგორც ინგლისურად, ისე ქართულად კურსის გაძღოლის გამოცდილება. ინგლისურად შესასწავლი კურსების არსებობა იმისათვის არის აუცილებელი, რომ სტუდენტმა სამომავლოდ შეძლოს „Erasmus+“ გაცვლითი პროგრამებში წარმატებით მონაწილეობა. მისი თქმით, პროგრამამ მობილობით სტუდენტთა დიდი რაოდენობა მიიღო, რაც ცხადყოფს იმას, რომ ისინი დაინტერესებული არიან აღნიშნული პროგრამით. ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან დაიწყება პრაქტიკის განხორციელება. ერმილე მესხიას აინტერესებდა, არის თუ არა დაგეგმილი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა ახლო მომავალში.
ნანა შონიამ უპასუხა, რომ ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე და სხვადასხვა ქვეყნებიდან, კერძოდ ჩინეთიდან, ესტონეთიდან და თურქეთიდან ჩარიცხული სტუდენტები ინგლისურ ენაზე სწავლობენ რამდენიმე სასწავლო კურს. უცხოელი სტუდენტების მხრიდან მოთხოვნადია „მმართველობითი აღრიცხვის“ სასწავლო კურსები, რომლებიც უნივერსიტეტს გააჩნია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:35
დასრულების დრო: 18:42
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გარემოს დაცვის ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გარემოს დაცვის ტექნოლოგიები Environmental Protection Technologies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№858801 29/07/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი გარემოს ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0712 გარემოს დაცვის ტექნოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	4600, ქუთაისი. ახალგაზრდობის გამზ.98, სასწავლო კორპუსი #7 და #8.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ანა ჯუღელმა განაცხადა, რომ ექსპერტი არ ესწრებოდა მიმდინარე ზეპირი მოსმენის განხილვას.
საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტის მონაწილეობა აღნიშნული პროგრამის განხილვაში პრობლემას არ წარმოადგენდა იმიტომ, რომ დასაკვნა დადებითია, ნათლადაა გაწერილი და საბჭოს წევრები მას იცნობდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი ციცინო თურქაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ყველანაირად ეცადა, რომ შიდა ხარისხსის უზურუნველყოფის მექნიზმების გამოყენებით რეკომენდაციები შეესრულებინა. შესაბამისად, დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, რომელთა შესახებ ინფორმაცია ასახულია ექსპერტის დასკვნაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:44
დასრულების დრო: 17:46
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გარემოს დაცვის ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გარემოს დაცვის ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის (60 დღიანი) შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამი სშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია Chemistry
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12/11/2021 №1220351
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის ბაკალავრი Bachelor of Chemistry
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531 ქიმია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა №59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი №4, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
სხდომა დატოვა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მამუკა მაისურაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ 2021 წელს მიიღო აკრედიტაცია 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით. მისი თქმით, დაწესებულებამ დათქმულ ვადაში წარმოადგინა ანგარიში, ხოლო ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ აკრედიტაციის საბჭომ უნივერსიტეტს რეკომენდაციების შესასრულებლად განუსაზღვრა 60 დღიანი ვადა. მისი თქმით, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა თეა კორძაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:48
დასრულების დრო: 17:53
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27 -ე მუხლის პირველი 2 პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა - 17:54.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი